



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№146

2017 წლის 10 თებერვალი

ქ.ლაგოდეხი

2017 წელში წვევამდელების (პირველადი) სამხედრო აღრიცხვის განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებებისა და სახედრო სამსახურის შესახებ“ მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. აყვანილი იქნას 2000 წელს დაბადებული წვევამდელები პირველად სამხედრო აღრიცხვაზე 2017 წლის 1 იანვრიდან 30 აპრილამდე.
2. 2017 წლის 1 იანვრიდან 30 აპრილამდე განხორციელდეს (პირველადი) სამხედრო აღრიცხვა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 17-27 წლის მამრობითი სქესის მოქალაქეების - წვევამდელების, რომლებიც არ იდგნენ სამხედრო აღრიცხვაზე.  
საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის“ უფროსის 2017 წლის 9 თებერვლის №246 მიმართვა/
3. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის“ უფროსს გელა ლომიძეს.
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.



გამგებელი:

კარლო ჯამბურია